პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ხუთშაბათი 2 ივნისი № 128 (16868) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ცოდნა — ხალხს!

ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ახალი ეტაპია აკად. ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელმაც ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი. ამ გადაწყვეტილებებმა აღაფრთოვანა და ოპტიმიზმით აღავსო ყველა მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენცია, რომელებსაც კარგად აქვთ შეგნებული, რომ ახალი კონსტიტუციის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ენენა როგორც ჭეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისა და სოციალისტური დემოკრატიის აყვავებისათვის, ისე ხალხის სულიერი ზრდისათვის, ახალი ადამიანის — კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშრომელის ჩამოყალიბებისათვის.

მშრომელთა ყოველმხრივი განვითარება, მათი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება მუდამ იყო და არის კომუნისტური პარტიის უყრადღების ცენტრში. აკად. XXV ყრილობამ ახალი ძალით გამოხატა პარტიის მუდმივი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ideურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი აღზრდისათვის. კომუნიზმის მშენებელთა ასეთი აღზრდის, მათი მზარდი ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთი ეფექტიანი გზა სრულიად საკავშირო ხაზოგადოება „ცოდნა“.

ხაზოგადოების ამას წინათ გამართულმა მეშვიდე ყრილობამ კვლავ დაადასტურა, რომ ეს ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში სამ მილიონზე მეტ წევრს, აერთიანებს, ღირსეულად ასრულებს ხალხის ფართო მასებში ცოდნის გავრცელების კეთილშობილურ მისიას. მარტო 1976 წელს წაკითხული 24,4 მილიონი ლექცია მეცნიერების, პოლიტიკის, ეკონომიკის, ideოლოგიის, კულტურის ხხვადასხვა საკითხზე. ხაზოგადოების წევრთა საქმიანობის მაღალი შეფასება, რომელიც მოცემულია აკად. ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ყრილობისადმი, შთააგონებს მათ ახალი შემოქმედებითი ძიებისათვის, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის კიდევ უფრო აქტიური პროპაგანდისათვის.

დღეს პროპაგანდისტთა ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე პასუხსაგები საქმე კვლავ ის არის, რომ ღრმად განმარტონ პარტიის XXV ყრილობის მასალები, ის მიერ შემუშავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც წარმატებით ხორციელდება. პროპაგანდისტთა, ლექტორთა, მომხსენებელთა საპატიო მოვალეობაა ყრილობის იდეები გააცნონ თვითეული საბჭოთა ადამიანს, ამ მუშაობაში ჩააქაჩონონ მთელი თვიანური ცოდნა, სული და გული, დარწმუნების უნარი, აღნიშნა აკად. ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობაზე.

ყოველნაირად უწყობს ხელს პარტიის მიერ დასახული გეგმების შესრულებას, საზოგადოება „ცოდნა“ ბევრ რამეს აკეთებს, რათა მშრომელები დარაზმოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად. მარტო მოსკოვში პარტიის XXV ყრილობის მასალების მიხედვით მოეწყო ათი ათასი ხალექციო ციკლი. პოპულარულია თემატიკური საღამოები: „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“, „მუშური ესტაფეტა“, „მეცნიერება მეათე ხუთწლედის მარშზე“, „სახალხო მეურნეობის მართვის საკითხები“ და სხვ. დღეისადაგ მდიდრდება პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ფორმებისა და საშუალებების არსენალი. ლექტორიუმები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, კლუბები ინტერესების მიხედვით, მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები, სამეცნიერო-საწარმოო კონფერენციები, ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობებზე მეცნიერთა კოლექტიური გასვლა — პროპაგანდის ყველა ფორმა ექვემდებარება საბჭოთა ადამიანებისათვის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩანერგვას, მათი პოლიტიკური შეგნების ამაღლებას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის განვითარებას. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ სახალხო უნივერსიტეტებს, რომლებსაც ათი მილიონი მსმენელი ყავს.

ახლა, როცა ფართოდ გაჩაღდა ვზადება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების პროპაგანდა. უჩვენებენ რა პარტიის გარდამქმნელი საქმიანობის ძალასა და სიდიადეს, ლექტორებს მასებში შეაქვთ იდეური მუხტი, რომელიც ეხმარება მილიონებს შეგნებულად და აქტიურად შეასრულონ მისი წინასწარდასახულობანი. მათ უმეტეს საჭიროა პროპაგანდისტული გამოსვლების ზუსტი თემატიკური მიზანმიმართულება, მათი მეცნიერულ-თეორიული დონის ამაღლება, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა მთელი პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომ აღმავლობას მოითხოვს. ლექტორებს აქვთ უმდიდრესი ცხოვრებისეული მასალა, რათა დამაჯერებლად გვიჩვენონ სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობანი. ყოველმხრივ უნდა განვმარტოთ ძირითადი კანონის პროექტის დებულებები მისი განხილვის პროცესში, მჭიდროდ დავუკავშიროთ პროპაგანდა მეათე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას.

საქმე უწინარეს ყოვლისა იმას ეხება, რომ ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდით ვუჩვენოთ ნუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების გზები, ხელი შეეწყოთ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის გაძლიერებას, მოწინავე გამოცდილების აღქმას. პოლიტიკური, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გავრცელება ორგანულად უნდა იყოს შერწყმული ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის პროპაგანდასთან. განვამტკიცებთ რა საბჭოთა ადამიანებისათვის დამახასიათებელ კოლექტივიზმის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობებს, თვითეულს უნდა ჩავუნერგოთ მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები.

საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის პროპაგანდას. ლექტორები ყოველთვის საშუალად ხუთი ათასზე მეტ ლექციას კითხულობენ საერთაშორისო თემატიკის საკითხებზე. დღეისადაგ უნდა ვუჩვენებდეთ პარტიის ბრძოლას XXV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის განხორციელებისათვის. ამასთან დასაბუთებულად უნდა გავცეთ საკადრისი პასუხი იმპერიალისტური პროპაგანდის ცილისმწამებლურ მონაჭორებს, ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების ცდებს — ჩრდილი მიაყენონ სოციალისტური წყობილების უპირატესობათა ირგვლივ.

ხაზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის პროპაგანდას. ლექტორები ყოველთვის საშუალად ხუთი ათასზე მეტ ლექციას კითხულობენ საერთაშორისო თემატიკის საკითხებზე. დღეისადაგ უნდა ვუჩვენებდეთ პარტიის ბრძოლას XXV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის განხორციელებისათვის. ამასთან დასაბუთებულად უნდა გავცეთ საკადრისი პასუხი იმპერიალისტური პროპაგანდის ცილისმწამებლურ მონაჭორებს, ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების ცდებს — ჩრდილი მიაყენონ სოციალისტური წყობილების პუმანისტურ არსს, ხელი შეუშალონ პოზიტიურ ცვლილებებს მსოფლიოში.

საზოგადოება „ცოდნის“ მეშვიდე ყრილობამ, რომელიც პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მითითებებით ხელმძღვანელობს, მრავალფეროვანი პროპაგანდისტული საქმიანობის მასშტაბის გაფართოებისა და სრულყოფის კონკრეტული ამოცანები განსაზღვრა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ყველა პირობა, რათა გაძლიერდეს საზოგადოებრივი საწყისები ცოდნის გავრცელებაში, კვალიფიციურ ლექტორთა კადრების მომზადებაში, რომლებსაც შეეძლებათ მტკიცედ დაეუფლონ მახვილ პოლიტიკური განათლებისა და დარწმუნების ლენინურ ხელოვნებას. ცოდნა — ხალხს!

ПРАВДА 1 ივნისის მოწინავე

საკვლევის ცნობა

მიფრინავს „კოსმოს-913“

1977 წლის 31 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-913“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკედსი).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მოჰამედ ალი სამანტარი

1 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მოსკოვს ჩამოსული სომალის რევოლუციური სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი მოჰამედ ალი სამანტარი. ლ. ი. ბრეჟნევსა და მ. ა. სამანტარს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და მ. ა. სამანტარმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ზოგიერთი ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემა. საუბრის დროს დადასტურდა სსრ კავშირისა და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპული პოლიტიკური გეზი, რომელიც მიზნად ისახავს მათი თანამშრომლობის განვითარებას სხვადასხვა დარგში, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც გააფართოოს და გაღრმაოს საბჭოთა კავშირისა და სომალის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სომალის რევოლუციური სოციალისტური პარტიის მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა.

აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აფრიკის სამხრეთის რაიონში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ იმპერიალისტური და რეაქციული ძალები ცდილობენ შექმნან აქ საერთაშორისო დაძაბულობის ახალი კერა.

ლ. ი. ბრეჟნევმა და მ. ა. სამანტარმა გამოთქვეს რწმენა, რომ გამართული საუბარი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთგაგების განმტკიცებას და მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

მოგზაურობენ ქვეყანაში

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით 1 ივნისს მოსკოვიდან ალმა-ათაში გაემგზავრა.

მოიმე სოციალისტური ქვეყნის დელეგაციის გასაცილებლად მოსკოვის ქუჩებში და მოედნებზე გამოვიდა ათასობით მოსკოველი. ისინი გულთბილად მიესალმნენ ეროპლანიდან ეროდრომამდე ავტომანქანებით მიმავალ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ტ. ჟივკოვს, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ეროდრომზე ჩამოწერილ ეროპლანი ოცი სამი სახეობის შეიარაღებული ძალების სპატიო ყარაული. სპატიო ყარაულის უფროსმა უპატაკა ამხანაგ ტ. ჟივკოვს. შესრულდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ჟივკოვმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების წყობრს. საზეიმო ცერემონია დამთავრდა სპატიო ყარაულის ჩაელით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი გულთბილად, ძმურად გამოეთხვნენ თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგებს ტ. ჟივკოვს, ს. ტოდოროვს, პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს.

ეროდრომზე გამცილებელთა შორის იყვნენ ავრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ა. პ. პიტერკოვი, ვ. ვ. რუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ბ. პ. ბუგაევი, პ. ფ. ლომაკო, გ. ს. პავლოვი, კ. ნ. რუდნევი, ს. ლ. სოკოლოვი, ა. მ. ტოკარევი, ნ. ა. შჩოლკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები ს. კ. ცვიგუნი, გ. კ. ცინევი, სხვა ოფიციალური პირნი.

დელეგაცია გაიცილეს დედაქალაქის შრომელთა წარმომადგენლებმა, სსრ კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიურმა თანამშრომლებმა, ბულგარელმა მოქალაქეებმა, რომლებიც მოსკოვში მუშაობენ და სწავლობენ.

დელეგაციასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში სამოგზაუროდ გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ბ. ნიაზბეკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი. (საკედსი).

ხურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს. ხაკდესი-ხაკინეშორმის ტელეფოტო.

განსაკუთრებული ფრონტი კადრებისათვის

კოლმეურნეობრივ-საბჭოთამეურნეობრივი წარმოების კადრებთან როსტოვის ოლქის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილების შემსწავლელი საკავშირო სემინარის მონაწილეებს

ამხანაგებო ამხანაგებო!

თქვენ შეიკრიბეთ, რათა ერთმანეთს გაუზიაროთ სოფლის მეურნეობის კადრებთან მუშაობის სრულყოფის მოწინავე გამოცდილება, შეისწავლოთ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმები და მეთოდები.

პარტიას სოფლად კადრებთან მუშაობა თავისი ავტარული პოლიტიკის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. ახლა, როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თანამედროვე მძლავრი ტექნიკით იარაღდებიან, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მიწების ქიმიზაცია და მელიორაცია, კადრების კვალიფიკაციის დონეს, მათ უნარს — გაუძღვნენ წარმოებას მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე, უდიდეს მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უაღრესად დიდ ყურადღებას იმსახურებს განყოფილებების, ბრიგადების, ფერმების და სხვა სამეურნეო ქვეგანაყოფების კადრებით განმტკიცებისათვის მუშაობა, სადაც უმუალოდ აწარმოებენ პურს, ხორცს, რძეს, კარტოფილს, ბოსტნეულსა და სხვა პროდუქტებს. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს მექანიზატორთა კადრები, რომელთა პროფესიულ ოსტატობასა და თავდადებულ შრომაზე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მანქანების მწარმოებლური გამოყენება, უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს 1977 საიუბილეო წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შედეგებს. სოფლის მშრომელებისათვის ახლა მუშაობის ყველაზე პასუხსაგები ეტაპი დგება. მეტად საჭიროა ყველგან გულდასმით მოუარონ ნათესებს, მოიყვანონ და მომარაგონ მეტი საკვები, კარგად მოემზადონ და უზრუნველყონ მოსავლის აღების მწყობრი რიტმი, არ დაუშვან დანაკარგები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

გამოვთქვამ რწმენას, რომ სოფლის მეურნეობის კადრებთან როსტოვის ოლქის მუშაობის გამოცდილების ფართო გამოყენება ხელს შეუწყობს მიმდინარე წლის, მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმებისა და დავალებების, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებას.

გულითადად მივესალმები საკავშირო სემინარის მონაწილეებს და ვუსურვებ წარმატებებს მუშაობაში.

ლ. ბრეჟნევი.

სემინარზე როსტოვში

სოფლის კადრებს — პარტიული ზრუნვა

როსტოვი. 31 მაისი. (საკედსის კორ.). დღეს აქ მუშაობა დაიწყო სოფლის მეურნეობის კადრებთან როსტოვის ოლქის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემსწავლელმა საკავშირო სემინარმა. სემინარში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

სემინარი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. დ. კულაკოვმა. მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმება სემინარის მონაწილეებისადმი, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მოხსენება „კოლმეურნეობრივ-საბჭოთამეურნეობრივი წარმოების კადრებთან როსტოვის ოლქის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ფორმები და მეთოდები“ გააკეთა სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ა. ბონდარენკომ.

ეს ნაბიჯები ჩაის პლანტაციებში

იბრძვიან საიუბილეო წლის ვალდებულებების შესასრულებლად

ზუგდიდი

მეჩაიეებმა საიუბილეო წელს ვალდებულება იკისრეს მოკრეფონ და მიეწვინონ 48.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გუშინ რაიონში მოიკრიფა 956 ტონა ხარისხოვანი „მწვანე ოქრო“, მათ შორის დიდი და მცირე მექანიზაციით — 235 ტონა. მოკრეფილი ფოთლის 96,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წლიულს 3 ათასი ტონა ჩაის ფოთლისათვის იბრძვიან ზემო ეფრის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის (დირექტორი გრ. შონია) სახელოვანი მეჩაიეები და მექანიზატორები, რომელებმაც მტკიცედ გადაწყვიტეს მაის-ივნისის გეგმა-ვალდებულება შეასრულონ არჩევნების დღისათვის — 19 ივნისისათვის. (სკკ. კორ.).

ქოგულეთი

რაიონის მეჩაიეთა ვალდებულებაა წლიულს სამშობლოს მიეყიდონ 35.660 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც შარშანდელ სარეკორდო მოსავალს მნიშვნელოვნად აღემატება.

მეჩაიეები ფოთოლს წარმატებით კრეფენ. მაგალითად, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეში ერთი ტონა ფოთოლი მოიკრიფა, ხოლო გუშინწინ — 75 ტონა, ცეცხლაურთაგან განსაკუთრებით დაწინაურდნენ მეორე აგროგანყოფილების მეჩაიეები (მმართველი ა. კალანდაძე), რომლებმაც წელს 550 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. მათ არც მესამე აგროგანყოფილება ჩამორჩება, მ. მაჭარაძე და ნ. მახარაძე ახლა ყოველდღიურად 140-150 კილოგრამ ჩაის კრეფენ. ცეცხლაურელ მექანიზატორებმანქანა „საქართველოთი“ განზრახული აქვთ მოკრიფონ 740 ტონა ნედლეული, ხოლო ხელის ამარტებით — 737 ტონა. (სკკ. კორ.).

ჩხოროწყუ

საზოგადოებრივ მეურნეობათა პლანტაციებში ყოველ დღეს 300-330 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი იკრიფება. გუშინ მოკრიფა 343 ტონა ნედლეული.

ჩხოროწყუელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს 5 ივნისისათვის შეასრულონ ფოთლის კრეფის მაისი-ივნისის დავალება, რომელიც 7.650 ტონას ითვალისწინებს. რაიონში სულ უკვე მოკრეფილია 6.450 ტონა „მწვანე ოქრო“.

(სკკ. კორ.).

გეგეჭკორი

უკანასკნელ დღეებში ფოთოლი საკრეფად მოზიდავდა. სალნინოს, გაჭედილის, ლეხაინდრაოს, ნაგვაზაოსა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობაში დღითიდღე ძლიერდება ფოთლის კრეფის ტემპი. გუშინ რაიონში მოკრეფილი იყო 305 ტონა „მწვანე ოქრო“, სულ სეზონის დაწყებიდან 7.092 ტონა ჩაის ნედლეული. ეს შარშან ამავე პერიოდთან შედარებით 2.800 ტონით მეტია.

ფოთლის კრეფაში დაწინაურდა გაჭედილის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლუდიკო ბართაია. მან ერთ დღეს ნაცვლად 30 კილოგრამისა მოკრიფა 180 კილოგრამამდე ფოთოლი, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მოშამ ლიანა ნაჭყებიამ და ნელი მიქაიამ თვითეულმა 170 კილოგრამი. („კომუნისტის“ კორ.).

წალენჯიხა

გუშინ რაიონში მოიკრიფა 337 ტონა „მწვანე ოქრო“, მათ შორის მანქანებით — 44 ტონა.

ჩაის კრეფაში დაწინაურდნენ მექანიზატორები — ორჯონიკიძელი მზია ქარდავა, ნაკიფფელი მორონ, ანზორ და ამიკო კვარაცხელიები, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მცირე მექანიზაციის მექანიზატორები ელისო შელია, ეთერი ქანთარია და სხვები, რომლებიც ჩაის ფოთლის ყოველდღიურ გეგმებს ორმაგად ასრულებენ. (სკკ. კორ.).

დროულად, უდანაკარგოდ ავიღოთ საიუბილეო წლის მოსავალი

საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა მექანიზატორისადმი

საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები „1977 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების უწრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პასუხად ყველმხრივ მოემზადნენ საიუბილეო წლის მოსავლის აღებისათვის. გამზადებულია მოსავლის ასაღები ტექნიკა. შრომის უსაღლესი ნაყოფიერების მიღწევისათვის, მუშაობის მოწინავე ნეოოდების დანერგვისათვის შეჯიბრებაში ჩაებნენ რაიონის ყველა მეურნეობის მექანიზატორები. მათ გადაწყვეტეს მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

31 მაისს გაიმართა რაიონის მოწინავე მექანიზატორთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა მკის ორგანიზებულად მოწყობისათვის მზადყოფნის მდგომარეობას. შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მეურნეობების პარტიული ორგანიზაციათა მდივნები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, სპეციალისტები, ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები.

მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის რაიონული ხამმართველოს უფროსმა ა. ურდუფაშვილმა.

შეკრებაზე გამოვიდნენ კომბაინერები ვ. ალექსაშვილი, ტ. ივანიაშვილი, ფ. ამბარდნიშვილი, შ. ლეგაჩიშვილი, კომბაინერის თანაშემწე კ. კავკუაშვილი, „სიქსოფლტექნიკის“ საგარეჯოს რაიონული გაერთიანების მმართველი გ. როსტომაშვილი, სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ოქრომჭედლიშვილი, სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი გ. მარხვაშვილი, საგარეჯოს მექანიზაციის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ერმაზოშვილი, უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. გიუნაშვილი, კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ა. არაბული, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე რ. ლაფანიშვილი, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სამართველოს უფროსი ი. დარბაისელი, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ვ. მეზვრიშვილი.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა მექანიზატორისადმი. მასში ნათქვამია:

ახლოვდება საიუბილეო წლის მკა. ჩვენ გადაწყვიტეთ ორგანიზებულად, შემზადროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ იგი, ყველაფერი ვიღონოთ, რათა შეასრულოთ მარცვლეულისა და საკვების დამზადების გეგმები. ახალ წარმატებებს ჩვენ, ისევე როგორც ყველა მშრომელს, შთაგვაგონებენ კეთილი სიტყვები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა. ჩვენ ერთსულოვნად და მხურვალედ ვიწონებთ ამ მოხსენებაში ჩაშენებულ დებულებებსა და დასკვნებს. ყველა ჩვენგანი კარგ გუნებაზეა. ჩვენი ფიქრები და მისწრაფებანი იმისკენ არის მიმართული, რომ ახალი სახელოვანი საქმეებით გამოვეხმაუროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ჩვენი რაიონის მიწათმოქმედებმა საიმედო საფუძველი ჩაუყარეს მიმდინარე წლის მოსავალს. ჩვენ ვკისრულობთ მოვიწიოთ 34.500 ტონა თავთავიანი კულტურების მარცვლეული. გეგმით ვალდებულებულია 20 ცენტნერის ნაცვლად ყოველ ჰექტარზე მივიღებთ 23 ცენტნერ მარცვლეულს. სამუშაოდ უკვე გავამზადეთ 84-ვე კომბაინი. თვითეული მათგანის დატვირთვას სეზონში 180 ჰექტარამდე გავრცდით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მოსავალი ავიღოთ საუკეთესო ვადებში, და რაც მთავარია, საკუთარი ძალებითა და საშუალებებით — სხვა რაიონების მანქანებისა და მექანიზატორთა დაუხმარებლად. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ტექნიკის ჩამოტანა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ხოლო ეფექტი უმნიშვნელოა. თვითეული კომბაინის საშუალო დატვირთვა სეზონში 30-35 ჰექტარს არ აღემატება.

მოსავლის აღება საკუთარი ძალებითა და საშუალებებით, რა თქმა უნდა, დიდ შრომითს მეცადინეობას, მუშაობის პროგრესული ხერხებს, რეზერვებს მაქსიმალურ გამოყენებას მოითხოვს, სწორედ ამ საფუძველზე ვაპირებთ შევასრულოთ გადიდებული ვალდებულება.

მიბაძვის ღირსია ლენინის ორდენოსანი კომბაინერის ვალერიან ალექსაშვილის მაგალითი, რომელმაც შარშან ერთ სამუშაო დღეში 14-16 ჰექტარი მომკა. ახლა მან ვალდებულება იკისრა ეს მაჩვენებელი 18 ჰექტარამდე გაზარდოს. მთელი რიგი წლების მანძილზე სტაბილურ მაღალ მაჩვენებლებს აღწევდნენ კომბაინერები ტ. ივანიაშვილი, შ. ლეგაშვილი, შ. გოცირიძე, ფ. ამბარდნიშვილი, გ. ნანუაშვილი, გ. ძირკვლიშვილი და სხვები. კარგად გამოიჩინეს თავი მოსავლის აღების დროს კომკავშირელმა მექანიზატორებმა კ. კავკუაშვილმა, გ. გოცირიძემ, ვ. სტეფანაშვილმა, ი. თალიმოვმა. მათ მაგალითს ყველა მექანიზატორის კეთილგანწყობილებად ავიღებთ.

ადგილმდებარეობის რელიეფის გათვალისწინებით პურეულს ეტაპობრივად ავიღებთ. ჯერ კომბაინებს გამოვიყენებთ დაბლობ ზონაში, შემდეგ მაღლობებში გადავიყვანთ. მეტ ყურადღებას დავუთმობთ პურეულის ორჯერად — ორ ფაზად მკას. შარშან ორ ფაზად მკამ შესაძლებლობა მოგვცა ყოველ მექანიზატორზე საშუალოდ მიგვეღო ორი-სამი ცენტნერით მეტი მარცვლეული, ვიდრე ჩვეულებრივ მკის დროს.

**ყველა მეურნეობაში განხორციელდა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ალოობის ორგანიზებულად

პარტიული ცხოვრება

ბელადის ცხოვრებას მიეძღვნა

პარტიული სკოლის მეცადინეობა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში

ორნი. პარტორგანიზაციის მდივნებისა და ახალგაზრდა კომუნისტების იდეურ-თეორიული ცოდნის ასამაღლებლად ნაყოფიერად მუშაობს პარტიის რაიკომთან არსებული ეროწლიანი სკოლა. ამას წინათ პარტიული სკოლის ერთ-ერთი მორიგი მეცადინეობა თემაზე „ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“ მოეწყო დედაქალაქში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში.

გულთბილად მიგვიღეს მუზეუმის მუშაკებმა. ჩვენ ყურადღებით დავათვალიერეთ ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები, დოკუმენტები, ფოტოსურათები, დიდი მხატვრული ტილოები, გავეცანით უნიკალური ისტორიული მასალებს, მოვისმინეთ ბელადის ერთ-ერთი გამოსვლისას მისი ძვირფასი ხმის ჩანაწერი!

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მახარაძე გვესაუბრა თემაზე — „ლენინის უბრალოება“, შემდეგ ვნახეთ ლენინურათი „ცოცხალი ლენინი“.

ნ. დუშუაშვილი,

ონის რაიონის ჩორდის პარტიის მაღალთოვა სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოადგილე, სკოლის მსმენელი.

□

ბიბლიოთეკის საბჭოს ანგარიში

ყუიბული. ამ დღეებში სოფელ ზედა ჭყეპის საბრიგადო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კრებაზე მოისმინა სოფლის ბიბლიოთეკის საბჭოს ანგარიში.

როგორც აღინიშნა, საბჭო ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. საბჭო ბრიგადას დახმარებას უწევს შრომის სწორ ორგანიზაციაში, აწყობს მკითხველთა შეხვედრებს მოწინავე მეჩიიეებთან, მესამინდიებთან და მეაბრეშუმეებთან, საინტერესო წიგნების განხილვას, მართავს საუბრებს აგრონომიულ თემებზე, აწყობა კინოსურათების ჩვენება, მოსწავლე ახალგაზრდობის ძალებით ამართება კონცერტები და დილა-საღამოები. ბიბლიოთეკის ბევრი კოლმეურნე მკითხველი ჰყავს.

ბიბლიოთეკის საბჭოს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ზედაჭყეპის მეშვიდე ბრიგადის წევრები (ბრიგადირი მ. მორჩაძე) და საბრიგადო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ჟ. ყეთილაძე).

ნ. ჯინჯიხაძე.

□

კომკავშირელებმა ითავეს...

ზუგდიდი. კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის ინიციატივით მოეწყო რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ზუგდიდის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილთან რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი — „ხორცის წარმოების გადიდება ყველას ღვაძლის საქმეა“ დაკავშირებით ზუგდიდის ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კომკავშირელებმა იკისრეს პირად მეურნეობაში გასუქებული პირუტყვიდან წლეულს 25 ტონა ხორცი ჩაბარონ სახელმწიფოს, ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა დაფრენა სახელმწიფოს მიჰყიდონ 14 ტონა საქონლის და ღორის ხორცი, კახათელი ახალგაზრდები კისრულობენ 15 ტონაზე, ხოლო ახალსოფლელი ახალგაზრდები ვარაუდობენ 10 ტონაზე მეტი ხორცი აწარმოონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ.

აქტივის კრებამ მიიღო მომართვა ყველა კომკავშირელისა და, უპარტიო ახალგაზრდისადმი, ყველა ქალიშვილისა და ჰაბუკისადმი. მომართვაში ნათქვამია, რომ რაიონის ახალგაზრდები მხურვალედ იწონებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს და კისრულობენ პირად მეურნეობაში გაზარდონ მაღალი ნაკვებობის პირუტყვი და წლის ბოლომდე სახელმწიფოს მიჰყიდონ 350 ტონაზე მეტი ხორცი.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

□

კლუბი „სიჭაბუკე“

ადიგენი. (საკ. კორ.). კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა ერთ კარგ საქმეს დაუდო სათავე: — დაბა ადიგენში, ლენინის ქუჩაზე გახსნა ახალგაზრდული კლუბი „სიჭაბუკე“, რომლის მიზანია თავის გარშემო შემოიკრიბოს და სხვადასხვა სახის შემოქმედებითს მუშაობაში ჩააბას რაიონის ახალგაზრდობა. კლუბის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები.

შეიქმნა სხვადასხვა შემოქმედებითი სექციები, კედლის გაზეთის redკოლეგია და ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქცია. სხდომაზე დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით კლუბის წევრთა პირველი მასობრივი ღონისძიება იყო „შეხვედრა ომის ვეტერანებთან“. იგი გამართულ იქნებოდა — 9 მაისს მიეძღვნა.

მეცხოველეობა — კომუნისტთა საზრუნავი

სიღნაღის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

- **ალაკვეთოთ პირუტყვის იძულებითი დაკვლა, გაწყდომა.**
- **თვითეული პირუტყვის ცოცხალი წონა გავზარდოთ სახელმწიფოსათვის მისაყიდ კონდიციამდე.**
- **საკვები — უპირველეს ყოვლისა!**
- **დანაშაული მოუთმენელია, დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ!**

სიღნაღის რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებამ ამასწინათ განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი „ხორცის წარმოების გადიდება ყველას საქმეა“. კრებას წინ უძღოდა სერიოზული სამზადისი, პარტიის რაიკომის წევრებმა, წვრთნის კანდიდატებმა, ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სპეციალისტებმა წინასწარ დეტალურად შეისწავლეს მეცხოველეობის, კერძოდ კი მისი ავლაეწარმოებისა და სუქებას საქმეში არსებული ნაკლოვანებები, დარღვევები, დაუდევრობის, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები, ყოველივე ის, რის გამოც იზოცებოდა, იძულებით იკვლებოდა პირუტყვი, რაც საბოლოო ანგარიშში იწვევდა ზარალს.

ამიტომ აქტივის კრებაზე საკითხი სწორედ ასე იყო დასმული — **„რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის დაზოგვის, იძულებითი და შიდასამეურნეო დაკვლის აღკვეთის საქმეში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.**

მომხსენებელმა საქართველოს ზოგიერთი კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ აღნიშნა, რომ ამ ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მეცხოველეობის სამეურნეო ეკონომიკა ბევრ ადგილას ფეხზე დადგა. ამაზე, რა თქმა უნდა, ნაყოფი არ გამოიღო, მწვანე მასა ძალზე მცირე მიიღეს, პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ გამოეხმაურნენ ამ ფაქტს, წაყოლოდ მას.

ამ საკითხს კრებაზე უფრო მეტი ყურადღება იმიტომაც დაუთმეს, რომ საკვების შეგროვების ერთთვიური მიმდინარეობს. სახალხო ლაშქრობის პერიოდში ეს ყოველი საათი, ყოველი წუთი რაც შეიძლება გონივრულად, რაციონალურად, უნდა გამოვიყენოთ.

იძულებით დაკვლასა და გაწყდომასთან ერთად, ხდება პირუტყვის უკანონო რეალიზაცია, ეკრეთ წოდებული მფლანგველობა, რისთვისაც პერსონალური პასუხისმგებლობა ყველა მეურნეობათა ხელმძღვანელებს, პარტიული ორგანიზაციის მდივნებს ეკისრებათ. ყოველად შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ წლეულს ოთხ თვეში თვითნებურად, მიდასამეურნეო საეიროებისათვის გაიყიდა 58 სული მსხვილფეხა პირუტყვი, თვითეულის წონა 90 კილოგრამი იყო.

საკითხავია, ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. აბულაშვილი, მთავარი ზოოტექნიკოსი ო. ჯანიაშვილი, მეძროხეობის ფერმის გამგე გ. ბეგიაშვილი) რა უფლებით, რა მოსაზრებით მიჰყიდა მოსახლეობას 38 სული მსხვილფეხა პირუტყვი. უფრო სწორად მოზარდეული, როცა თვითეულის საშუალო ცოცხალი წონა 59 კილოგრამს შეადგენდა? ამავე სოფლის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ქუსეაშვილი, მთავარი ზოოტექნიკოსი დ. აბულაშვილი) 8 სული მსხვილფეხა პირუტყვი დაკლა. თვითეული 127 კილოგრამზე მეტს არ იწონიდა. განა ამას ჰქვია ზრუნვა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის?

ასევე, ნორმალურად არ უნდა ჩაითვალოს მოსახლეობისათვის ცხვრის დიდი რაოდენობით, ხელაღებით მიყადება. მარტო წელს გაყიდულია 2.197 სული ცხვარი, თვითეული 15 კილოგრამს არ აღემატებოდა. კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი — ანაგის, ტიბაანის, მაჩხაანის, ბოდბისხევისა — გაუმართლებლად ანადგურებს ხბოს, გოჭს, ბატკანს. წელს უკვე გაყიდულია 8-9 კილოგრამი საშუალო ცოცხალი წონის 2.476 გოჭი.

ვერაფერით იმართლებს თავს ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე, ვ. შალვაშვილი, რომელმაც უსაბუთოდ, ზეპირი განკარგულებით მისცა ერთი სული ძროხა ნ. კოკლამაზაშვილს. კოლმეურნეობის მთავარმა ვეტექიმმა ზ. დონაშვილმა და ზოოტექნიკოსმა გ. გოგინაშვილმა ყალბი გასაღლის აქტი შეადგინეს — თითქოს ეს ძროხა ფეხს მოტეხილობის გამო დაიკლათ, ხორცი კი ფაქტიურად სხვადასხვა პიროვნებას გამოუწერეს. პარტიის რაიკომმა მკაცრად განიხილა ეს საკითხი ბიუროზე, კოლმეურნეობის მთავარი ვეტექიმი ზ. დონაშვილი, ზოოტექნიკოსი გ. გოგინაშვილი და ფერმის გამგე შ. ნადირაშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან. ცნობად იქნა მიღებული, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. შალვაშვილი მსგავსი დარღვევებისათვის წინა დღეს მკაცრად დასჯა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ.

აი, რას გვაძლევს ამ დარღვევათა, დანაშულობათა ეკონომიკური ანალიზი. მიმდინარე წლის ოთხ თვეში დაკლული და ვეფხვიდული პირუტყვის წონა სახელმწიფოსათვის მისაყიდ წონამდე რომ გაგვეზარდა, ჩვენს ქვეყანას დამატებით 100 ტონა ძროხის ხორცს, 225 ტონა ცხვრის და 400 ტონა ღორის ხორცს დაეუმზადებდით.

ყოველივე ეს შეუწყნარებელი დანაშაულია. მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, პარტიული ორგანიზაციის მდივნებმა მათ ვინც უკანონო განკარგულებებს ასრულებს, მომავალში კიდევ უფრო მკაცრად უნდა აგონ პასუხი.

კრებაზე ვრცლად, კონკრეტულად იმსჯელეს პირუტყვის სანაშენო საქმის მდგომარეობაზე, ვეტერინარული წესების დაცვაზე, კადრების სწორად შერჩევაზე.

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრებამ თავის რეზოლუციაში პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმის, რომ განუხრელად შესრულდეს საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მათ შორის ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში, ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას დაუქვემდებარონ მთელი პარტიულ-პოლიტიკური, სამეურნეო-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მიიღო დადგენილება „რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის შიდასამეურნეო დაკვლის წესების უხეში დარღვევის შესახებ“. ამ დადგენილებაში სხვა რაიონებთან ერთად გაკრიტიკებულია სიღნაღის რაიონის მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები. იმედია, რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები, მეცხოველეები სათანადო დასკვნებს გააკეთებენ, რომ ხორცის წარმოების რეზერვები უახლოეს მომავალში ამოქმედდეს, იმატოს ფერმების ბარაქამ.

ვლ. მჟედლიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ რეიდი

დაწვეს, მაგრამ...

საწვავი ყაირათიანად ვხარჯოთ

მცხეთის რაიონის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და პირობის შესასრულებლად ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. ვალდებულების ერთ-ერთ შუხლში ნათქვამია, რომ საბუშაოთა შესრულების დროს ეკონომიურად ხარჯონ საწვავი, მკაცრი კონტროლი დაანყონ საწვავ-საცხები მასალების გამოყენებაზე.

რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით რაიონში? სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიურად ხარჯვის საკითხზე სპეციალურად იმსჯელეს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაიისბჭოს აღმასკომმა.

რაიონში პურეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღება-დაბინავების დროს შარშან საწვავ-საცხები მასალების სათადარიგო მარაგის შექმნილად არ ჰქონდათ საკმაო სასაწყობო მეურნეობა. წლეულს კი რაიონში შენდება საკმაო ტევადობის საწყობი. მშენებლობა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული მეოთხე კვარტალისა დამთავრდება მესამე კვარტალში.

რაიონში არის ოგრეთვე ზოგიერთი დარღვევები და დამახინჯებები. საწვავის გამოყენებისა და ხარჯვაში ზოგან უპასუხისმგებლობასაც ვხვდებით.

გლდანის, გალავნის, ნატახტრის, წილკნის, ნიჩბისის, მცხეთისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის სამუშაოდ საწვავს აუწონავად ზომა-წონის საკონტროლო ლაბორატორიის მერე შეუმოწმებელი ჭურჭლით აძლევდნენ. ნავთობპროდუქტების შესანახი საწყობები შეუფერებელ ადგილზე აქვთ. არ არის ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა.

დიღმისა და გალავნის საბჭოთა მეურნეობებში სადიზელო სათბობისათვის საამქროსა და რძის სეპარატორის მუშაობაზე ყოველთვიურად იხარჯება 5 ტონაზე მეტი დიზელის საწვავი. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით კი წმინდა სატრაქტორო სამუშაოს შესრულების გარდა სასტიკად აკრძალულია საწვავის სხვა დანშულებით გამოყენება.

წილკნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში (დირექტორი რ. კეკელიძე) წელს საერთოდ ყურადღებას აქცევენ საწვავის ეკონომიურად ხარჯვას. მაგალითად, პირველ კვარტალში დასახარჯი 40 ათასი კილოგრამიდან შესასრულებელ სამუშაოზე დაიხარჯა მხოლოდ 33.600 კილოგრამი. მაგრამ რაც დაიხარჯა, ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, ტრაქტორისტ გიორგი მეზერიშვილს პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს მიხედვით ჩამოწერა 1.339 კილოგრამი საწვავი. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ მან 2.760 კილოგრამი საწვავი გაიტანა. სად წავიდა 1.421 კილოგრამი საწვავი? მით უმეტეს, რომ მექანიზატორი ზოგჯერ დღეში 3 ჰექტარის ნაცვლად 1,4 ჰექტარზე ასრულებდა სამუშაოს. ეს ფაქტი შემოწმების დღეს რომ გაიგეს, მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა თ. კახურაშვილმა და თავთარმა ბუღალტერმა თ. ბეგოიძემ გულდამშვიდებით განაცხადეს — არა უშავს რა, წლის ბოლოს დავაწერთ და გადავახდეცინებთო.

ერთი კურიოზიც — ტრაქტორისტმა გიორგი ბერიკაშვილმა სამუშაოს შესრულების დროს 682 კილოგრამი საწვავის ეკონომია გასწია. წესით ასეთი მოწინავე მექანიზატორები უნდა წაახალისონ, რომ მათ სხვებმა მიბაძონ. აქ კი, პირიქით, დაუჯარიმეს და გეგმის ზევით სამუშაოს შესრულებაში დახარჯული საწვავი გადახარჯვაში ჩაუთვალეს.

„საქსოფლტექნიკის“ მცხეთის გაერთიანებას (მართველი ა. გავაშელაშვილი) ზეთის ხარჯვაზე ცალკე აღრიცხვა არა აქვს. ეს იმიტომ, რომ საწვავის მთელი რაოდენობის გარკვეული ნაწილი მეურნეობებს ეძლევათ. განა ასეთი მუშაობით შეიძლება ეკონომიურად ვხარჯოთ საწვავი მასალა? საერთოდ ბევრგან მეურნეობებში საგზურშიც კარ ხდება საწვავის ხარჯვის რაოდენობის აღნიშვნა. ეს კი ხელს უწყობს საწვავ-საცხები მასალის უკაირათო ხარჯვას. მეორე კვარტალში სამუშაოს შესასრულებლად გამოყოფილია 1.042 ტონა მარტო ბენზინი. მეორე კვარტალის ორი თვე გავიდა და სოფლტექნიკაში არ იციან, საწვავი ვინ რამდენი დახარჯა. ეს მაშინ, როცა თითქმის ყოველდღე თუ არა, ყოველკვირას მაინც საქმის კურსში უნდა იყონ.

რაისაბჭოს აღმასკომში (თავმჯდომარე თ. პეტრიაშვილი) და სოფლის მეურნეობის სამმართველოში (მმართველი რ. ციხლაძე) სპეციალურად თვეების მიხედვით საზოგადოებრივ მეურნეობებზე აქვთ საწვავ-საცხები მასალების ათვისების ცნობები. ეს უდავოდ კარგია. ასევე სოფლტექნიკაშიც რომ ჰქონდეთ, ცუდი არ იქნებოდა.

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა წარმოება-დაწესებულებებში ადგილზე სახალხო კონტროლის ჯგუფები, საგუშაგოები, პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაოდ ამოწმებენ საწვავ-საცხები მასალების მოვლა-შენახვის, გაცემის, გამოყენების მდგომარეობას. მაგალითად, მცხეთის მექანიზაციის საცდელი მეურნეობა, როგორც ყველა საქმეში, ისე საწვავის ხარჯვაში სხვებისათვის მართლაც საცდელ-სანიმუშო უნდა იყოს. არის ასე? — არა. ამ მხრივ აქ ცუდ მაგალითს გვაჩვენებენ. რეზერვუარის არაწესიერი მდგომარეობის გამო 4,3 ტონაზე მეტი „ა-72“ მარკის ბენზინი დაიღვარა.

მეურნეობის ნავთობპროდუქტების საწყობის გამგეს ნ. მუხადგვერდელს ეს არც აღელვებს. მას ტონობით ბენზინი ჩამოწერეს და მხოლოდ ერთი თვის ხელფასი დაუკავეს.

მცხეთის ნავთობაზამ და სხვა საწარმოებმა მარტო შარშან ელქსელის ლიმიტის გადახარჯვით სახელმწიფოს 28.614 მანეთი აზარალეს. დამნაშავეები დაუსჯელი არიან. ისინი მხოლოდ დაჯარიმეს. თუ ასე გაგრძელდა წელსაც ეარესი მდგომარეობა იქნება.

ახლა როცა მოსავლის აღება ახლოვდება, საწვავ-საცხების მომჭირნეობით ხარჯვას დიდი მნიშვნელობა აქვს. არ უნდა მოხდეს ისე, რომ საწვავის უქონლობით, ანდა მისი უყაირათო ხარჯვით პურეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღება-დაბინავება შეფერხდეს. შეტი ოპერატიულობა, მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა — ასეთი უნდა იყოს პარტიის მცხეთის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ყოველდღიური საზრუნავი.

● მცხეთის მეშვენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 4,8 ტონა ბენზინი გაანიავდა. დამნაშავე სათანადოდ არ დასჯეს ● ტრაქტორისტებმა საწვავი გადახარჯეს, წიღანის ექსპერიმენტულ მეურნეობის ხელმძღვანელები კი სათანადო ზომებს არ იღებენ ● დიღმისა და გალავნის საბჭოთა მეურნეობებში ყოველთვიურად 5,5 ტონაზე მეტი დიზელის საწვავი არადანიშნულებისამებრ იხარჯება.

გ. ზანდარაშვილი — მცხეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, **ო. ოქროპირიძე** — პარტიის მცხეთის რაიკომის ინსტრუქტორი, **ხ. მარქანიშვილი** — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი, **შ. ჭოხუა** — „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

მაღალნაყოფიერად შრომობენ თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების კომკავშირელები არჩევნებისათვის მზადების დღეებში. ბევრი გამომგონებლობა გამოიჩინეს მათ აგიტპუნქტების გაფორმებაში, უშვებენ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებს, რომლებიც არჩევნებს ეძღვნება. ახალგაზრდა აგიტატორები თავიანთ მიკრორაიონებში აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს. აწყობენ საუბრებს მათთან.

სურათზე: კომკავშირელები გ. შარაძე, ლ. ძაძიგური, ფ. ხინკოთაშვილი და მ. დაშნიანი მუშაობენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის გამოშვებაზე.

ხ. ედიშერაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

აგიტპუნქტში ხალხმრავლობაა

ცაგერი. წიფორჩის აგიტპუნქტი ლ. ასათიანის სახელობის ბრიგადის საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული (გამგე ნ. ლარცულიანი). აგიტპუნქტის კარი ფართოდ არის გაღებული სოფლის მშრომელებისათვის. თვალს ანარებს ლამაზად გაფორმებული ლოზუნგები. აქვეა საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მასალები, ახალი ჟურნალ-გაზეთები.

აგიტატორები, პოლიტინფორმატორები სოფლის მშრომელებს განსაგებად განუმარტავენ საბჭოთა საარჩევნო სისტემის არსს, ესაუბრებიან ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობის შესახებ. მსმენელთა საერთო სიყვარულით სარგებლობენ აგიტატორები ჟ. ლარცულიანი, ჟ. ბენიძე, ნ. სილაგაძე, რ. ლაქყეპანი და სხვები. უკვე გამოვიდა კედლის გაზეთ „ამომრჩევლის ხმის“ მეორე ნომერი.

აგიტპუნქტის სამუშაო გეგმა კიდევ ბევრ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს.

ხაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სახალხო ხალხე

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს ცხაკაიას რაიონში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა. ამ საკითხზე მოისმინეს ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. კარტოზიას მოხსენება.

აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება რაიონში მიმდინარეობს ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მაარი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

დასახული ვადაზე ადრე რაიონის მშრომელებმა შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ცხაკაიას რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები შესაბამის დახმარებას უწევენ დეპუტატებს დეპუტატის სტატუსის შესრულებაში. 20 მისათვის 538 განაწესიდან შესრულებული იყო 522 (97 პროცენტი). ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა ადგილობრივი საბჭოების ყველა დეპუტატმა.

არჩევნების დეპუტატთა დადგენილ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები, რაიონული, საქალაქო და სასოფლო საარჩევნო კომისიები, რომლებშიც არჩეული არიან მოწინავე, ინიციატივიანი, ავტორიტეტიანი ადამიანები. კომისიათა შემადგენლობაში 59 პროცენტი მუშა და კოლმეურნეა, 45,2 პროცენტი — ქალი, 63 პროცენტი — უპარტიო, მათ შორის 16,2 პროცენტი ალკპ წევრია, 20 პროცენტი — 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა.

ფართოდ განიხილა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. 1600-ზე მეტი აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, ლექტორი და პოლიტმასობრივი ფართოდ განეთარტავს მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, რომლებიც დასახულია სკკპ XXV ყრილობის მიერ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე და სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და ამ პლენუმზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში.

ამასთანავე ცხაკაიას რაიონში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომთა მუშაობაში არჩევნების მზადებისათვის არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. 19 მაისისათვის ზოგიერთმა საუბნო და სასოფლო-საარჩევნო კომისიამ არ ჩაბარა სხდომები, არ შეადგინა სამუშაოთა გეგმები, არ გაანაწილა ფუნქციები კომისიის წევრთა შორის (ძველი სენაკის და ნოსირის სასოფლო საბჭოების საარჩევნო კომისიები და სხვ.).

შემოწმების დღისათვის 35 საარჩევნო უბნიდან სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილი არ იყო 5 საარჩევნო უბანი. ზოგიერთი სიაში არასრულია ცნობები ამომრჩეველთა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს დაავალა არჩევნებამდე დარჩენილ დროში განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მაღალ-იდეურ პოლიტიკურ დონეზე არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის.

ხხდომაზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება მარნეულისა და ხაშურის რაიონებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს დადგენილება „არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების აღკვეთისათვის აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მარნეულისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, აღგილობრივმა ორგანოებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გასწიეს გარკვეული მუშაობა, რათა გაძლიერებულიყო ბრძოლა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებისა და ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ. მეტი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების ორგანიზაციას.

გარდა ამისა, სხდომაზე აღინიშნა, რომ მარნეულისა და ხაშურის რაიონებში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებებია აღმზრდელობითსა და პროფილაქტიკურ მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ ნაკლოვანებათა მიზეზად მიიჩნიეთ ის, რომ აგიტაციბრიგადა საბჭოები, აღმინისტრაციული, სამეურნეო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯეროვნად არ აფასებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი მეცადინეობის კოორდინაცია მოზარდთა შორის სამართალდარღვევების აღკვეთისათვის მუშაობაში.

არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების აღკვეთის საქმეში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა აღნიშნული რაიონების სამეცალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სუსტმა მუშაობამ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სასწავლო პროცესისა და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანული კავშირი. ხშირად კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა წარმოებს ფორმალურად, მოზარდთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და მიდრეკილებების გაუთვალისწინებლად. მოზარდთა ნაწილი თავს არიდებს სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციები, თავდაცვითი-მასობრივი და სპორტული ორგანიზაციები სათანადოდ არ მუშაობენ მოსწავლე ახალგაზრდობისა და წარმოებაში დასაქმებულ არასრულწლოვანთა გონივრული დასვენებისათვის. სუსტად იყენებენ კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების, სპორტული ნაგებობების შესაძლებლობებს, არადამაკმაყოფილებლია საცხოვრებელ მასივებში სათამაშო და სპორტული მოედნების მშენებლობის მდგომარეობა.

სერიოზული ხარვეზები ახასიათებს ამ დარგში მარნეულის რაიონის სოგამოძიების ორგანოების მუშაობას, საკმარისი არ არის პროფილაქტიკური მუშაობა, რომელსაც ამ საქმეში ეწევიან ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლო, აღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მარნეულისა და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასკომს დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სახალხო განათლების ორგანოებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიებისა და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვებსა და მოზარდებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა უზრუნველყოს, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს მარნეულისა და ხაშურის რაიონების ბავშვთა ოთახების მუშაობა.

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილეს სხვა საკითხებიც.

(საქინფორმი).

დამკვრელის ტრიბუნა

თაოსანთა მაგალითით

მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ფართოდ

მსოფლიოს ამბები

საკლესი ● ტელეტაიპი გადმოგვცემს

მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის

უცხოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოსკოვის მოლაპარაკებას, კომენტარს უძღვნის სიტყვებს, რომლებიც კრემლში გამართულ სადილზე წარმოთქვეს ს.კ.კ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ტ. ჟივკოვის პირველსავე შეხვედრებმა, წერს ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო", მოლაპარაკების დაწყებისთანავე ნათლად გამოვლინდა მაღალი პოლიტიკური დონე და გულთბადობა, რომელიც ბულგარელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ურთიერთობას ახასიათებს. როგორც ერთსულოვნად განაცხადეს კრემლის სადილზე საბჭოთა და ბულგარეთის ხელმძღვანელებმა, „ორი მოძმე პარტიისა და ქვეყნის თანამშრომლობა შეესაბამება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის უმაღლეს მოთხოვნებს, ორი ხალხის ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს. დღეს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას ასევე ყოვლისმომცველი და ორგანულმზრიალი ხასიათი აქვს, როგორიც არ ახასიათებს ჩვენი მეგობრობის მდიდარ ისტორიას.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, ანგარიშობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, თავის შრომებში აყალიბებს დასკვნას, რომ სოციალისტური ქვეყნების დაახლოების პროცესი ახლა კანონზომიერად გვიდგება, შეესაბამება მოძმე პარტიებისა და ხალხების შეხედულებებს, კომპასის, ორიენტირის როლს ასრულებს სოციალისტური თანამეგობრობისათვის შემდგომი ერთობლივი წინსვლის საქმეში. ამ სწორ მარქსისტულ-ლენინურ ფორმულას ბულგარეთის კომუნისტური პარტია როგორც ფუნდამენტურ პეშმარიტებას დასძენს, რომ ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა კავშირის — იმ ისტორიული ბირთვის გარშემო, რომლის ირგვლივაც კრისტალდება სოციალისტური თანამეგობრობა.

უნგრეთის „ნეფსაბადშაგი" აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ჟივკოვმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის შედეგებს. სოციალისტურმა ქვეყნებმა, დასძენს გაზეთი, მაღალ დონეს მიაღწიეს თავიანთ ურთიერთმოქმედებაში სულ სხვადასხვა დარგში, მათ შორის საერთაშორისო საქმეებშიც.

ბულგარელი სტუმრების პატივსაცემად გამართულ საღილზე წარმოთქმულ სიტყვაში, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო", ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ გვიჩვენა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოები მტკიცედ ადგანან სრულიად ევროპის თათბირის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზას.

ბერლინის „ნოიეს დოიჩლანდი" ამის გამო აღნიშნავს, რომ, მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელობა რწმენით, ბელგრადის მომავალმა შეხვედრამ ხვალის ხიდი უნდა გადოს, უნდა გააფართოოს შესაძლებლობანი ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ახალი ინიციატივებისათვის.

„ბერლინერ ცაიტუნგი" აღნიშნავს დასავლეთ ბერლინის შესახებ ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამების მნიშვნელობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, წერს გაზეთი, ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარკვეული ძალები კვლავ მოითხოვენ დე-ფაქტო შეესწორონ ოთხმხრივი შეთანხმება თავიანთ სასარგებლოდ და ძაბავენ ვითარებას ქალაქის ირგვლივ. რაც შეეხება მომმე სოციალისტურ ქვეყნებს, მათ სურთ, რომ დასავლეთ ბერლინი საქმით გახდეს დაძაბულობის შენელების სარბიელიც და მისი მონაწილეც. ამით მოიგებდა დასავლეთ ბერლინის მოსახლეობაც, სოციალისტური ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხიც მშვიდობიც.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დაწერილებითი შინაარსი გადასცეს დასავლეთის საინფორმაციო საგენტოებმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, აღნიშნავს, კერძოდ, **იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის** საავეტრო, თქვა, რომ დასავლეთის ზოგიერთი ლიდერი „ცივი ომის" კონცეფციებს ეთაყვანება, რაც ანძიელებს დაძაბულობის შენელების პროგრამასს. ლ. ი. ბრეჟნევმა გააკრიტიკა უწინარეს ყოვლისა ნატოს საბჭოს სხესი. საბჭოთა ხელმძღვანელის აზრით, სესიამ სსრ კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნების პოლიტიკის სრულიად ყალბი შეფასება გამოიყენა, რათა გაემართლებინა ჩრდილოატლანტიკური კავშირის სამხედრო ხარჯების ზრდა. ლ. ი. ბრეჟნევმა გააკრიტიკა აგრეთვე დასავლეთ გერმანიის გარკვეული ძალები. ამავე დროს მან დასავლეთის სახელმწიფოთა წინაშე ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის **საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელია. (საკდესი, 31 მაისი).**

ბულგარეთის საჯალხო რეზაუბლიკა

სოფიის ლილიანა დიმიტროვას სახელობის ფაბრიკის ტრიკოტაჟის ნაწარმზე, რომელიც თანამედროვე მოდური ხაზითა და ფერთა საინტერესო გამით გამოირჩევა, დიდი მოთხოვნაა არა მარტო საშინაო, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც. ფაბრიკის პროდუქციის ხაუცხოო ხარისხი თანამედროვე მანქანების დანერგვისა და მუშათა მაღალი კვალიფიკაციის შედეგია, რომლებსაც შრომისა და დახვეწების ხაუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი.

სურათზე: მქსოველი ვიოლეტა ნიკოლოვა.

ივან დერნოვის ფოტო (სოფია პრესის სააგენტო).

ინფორმაცია

გმირი დედები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **„გმირი დედის"** საპატიო წოდება მიენიჭათ: **აბაშიძეს** ანურ შირინის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ, ხულოს რაიონი; **აზალაძეს** ლუსია კაპიტონის ასულს — ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ, სოხუმის რაიონი; **კარტოზიას** ცაცა ჯობის ასულს — დაისახლისს, აფხაზეთის ასსრ, გულრიფშის რაიონის სოფელი ბაღმარანი; **მახარაძეს** ნადია ისკანდერის ასულს, კოლმეურნეს, აჭარის ასსრ, ხულოს რაიონი; **ხამაიას** კახრამან ყზის — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ლაგოდეხის რაიონი; **ხარიანს** ვარვენიკ ოპანესის ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ქალაქი გაგრა; **ჩილაჩავას** გოგოლა იონას ასულს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ, გალის რაიონი, სოფელ განახლება.

ლექტორის დღე

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა და პარტიის ქობულეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს აჭარის განყოფილებასთან ერთად ქობულეთის რაიონის შორეულ სოფელ ჭახათში მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი „ლექტორის დღე".

სოფლის მშრომელთა წინაშე ლექციებით „ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება XX საუკუნის უმთავრესი მოვლენაა", „ლენინური საგარეო პოლიტიკის ახალი მიღწევები", „საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური საზოგადოების სამსახურში", „ფართო მოხმარების საგნებზე მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება სკკპ ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა", „კომუნიზმის მშენებელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა — პარტიის სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია" გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ა. მიქელთაძე, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის" დირექტორი ა. აბვლედიანი, მწერალი რ. ჩაჩანიძე, აჭარკოოპკავშირის თავმჯდომარე ე. ბუეკაძე და კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რ. სურმანიძე. ბოიტმა ჯ. ქათამაძემ წაიკითხა ახალი ლექციები.

ა. ნათიშვილი.

მოძრაობა რომ უსაფრთხო იყოს

ჩვენს რეპუბლიკაში მიმდინარეობს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება. ამ ღონისძიებას მიეძღვნა მცხეთის კინოთეატრ „კარიბჭეში" გამართული თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საზოგადოების როლი სოციალისტური მართლწესრიგისა და მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში", რომელიც მოაწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციამ, მცხეთის შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებამ და საზოგადოება „ცოდნამ".

კონფერენციას „სწრაბოდნენ ავტოსატრანსპორტო საწარმოების, სოფლის მეურნეობის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები, მოწინავე მძღოლები, პედაგოგები, მოსწავლეები, რაიონული აქტივი.

დასასრულ დაინიშნა ღონისძიებები ადგილობრივ ადგილებზე, ავტომობილთა მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების საკითხებზე.

ეკონომიკური ფაქტორი

ანალოგიური ფაქტორი: ახლაგაზრდამ უადრესი სიზუსტით იცის „მერანის" ტექსტი, მაგრამ გადაღლილ გამომცდელებს გაუჭირდათ უემოციოდ წაკითხული ტექსტის მოსმენა და ლექციის ideური შინაარსის ახსნა მოსთხოვეს. ამბიტურიენტმა მზრები აიჩეჩა, მან მხოლოდ ზეპირად იცის „მერანი". „კარგი, მაშ, განგრძე", უთხრეს მას, მაგრამ მან გაგრძელება ვეღარ მოახერხა, თავიდან დაიწყეთ ითხოვა.

როგორ ფიქრობთ, არ არის ეს ფაქტი საგულისხმო? ხომ შეიძლება აბიტურიენტმა ზეპირად არ იცოდეს „გოგია უთშვილის" ყოველი წვრილმანი, მაგრამ იცოდეს მისი ძირითადი პრობლემა, იცოდეს ძირითადი მიმართულება. მისაღებ გამოცდებზე კი ინსტიტუტად ტექსტების ზუსტ ცოდნას სთხოვენ, მაგრამ სთხოვენ უმთავრესად ეპიური ნაწარმოებების შინაარსს. თუ აბიტურიენტმა, ვთქვათ, „ოთარაანთ ქვრივის" შინაარსი (სიუჟეტი) გადმოსცა, მაშასადამე, გამომცდელთა უდიდესი ნაწილის აზრით, მან იცის „ოთარაანთ ქვრივი". ტექსტის ზეპირი დასწავლა ინსტიტუტად „ზუბრიანკების" ეხერხებათ, ხოლო ტექსტის შეგნებული, გააზრებული წაკითხვის უნარი, სამწუხაროდ, ცოტას აქვს. მაგრამ საქმისათვის რომელი სჯობს — პირველი თუ მეორე? ამ კითხვის პასუხი არც სჭირდება.

როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, უკვე შეუძლებელია მთავარი კურსი ავიღოთ მოსწავლეთა მიერ გარკვეული რაოდენობის ფაქტების შეთვისებისაკენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, **რომ მოსწავლეებს** ჩავუნერგოთ ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების, სამეცნიერო და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში სწორი ორიენტირების უნარი.

ახლა ვნახოთ კომისიის წევრთაგან ყველას ძალუძს თუ არა სხვისი ნაწერის გასწორება, აქვთ თუ არა ზუსტი შეფასების უნარი.

ქართულ ენაში გვხვდება უამრავი სადავო ფორმა, რომელთა მიმართ სხვადასხვა სპეციალისტს სხვადასხვა შეხედულება აქვს. რა ქნას აბიტურიენტმა, რომელი ფორმა გამოიყენოს, ან იცის კი ამ ფორმის სხვადასხვაობის არსებობა? ამიტომ ყოველგვარი სადავო ფორმა აბიტურიენტის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და მას წითელი ფანქარი არ უნდა გაუსვას. მაგრამ ხდება კი ასე? რა თქმა უნდა, ხდება, მაგრამ ძალზე იშვიათად.

აქედან გამომდინარე, არასავალდებულო ნაშრომს ერთი გამომცდელი ასწორებდეს. აბიტურიენტის ყოველ ნაშრომს, რა თქმა უნდა, ორი გამსწორებელი აწერს ხელს, „ფრიადის" შემთხვევაში — მესამეც (თავმჯდომარე), მაგრამ ვისაც კი მისაღებ გამოცდებთან ქონია საქმე, ყველამ იცის, რომ მეორე ხელმოწერა ფორმალურია. ფორმალურია იმიტომ კი არა, რომ „მეორე გამსწორებელი" პირველს ენდობა და შეუმოწმებლად აწერს ხელს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ძალზე დაღლილია უამრავი ნაშრომის გასწორებისაგან და უკვე აღარ აქვს იმის თავი, რომ თავისი კოლეგის მიერ გასწორებული ნაშრომებიც გადაიკითხოს. ამ ფაქტის ხაზგასმა აუცილებელია. ჩვენ გვინახავს გამომცდელის მიერ გასწორებული ასეთი სტრიქონი — „ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისაყოფოთ თავისუფლება?" გამსწორებელს მთელი ფრაზისთვის წითელი ფანქარი გაუსვამს, კითხვის ნიშნისათვის ხაზი გადაუსვამს და იმავე წითელი ფანქრით ეს კითხვის ნიშანი წინადადების შუაში „რა გვემართებასთან" დაუსვამს. მაშასადამე, გამოვიდა: კითხვის ნიშანი თურმე წინადადების შუაშია საჭირო. უნდა ჰქონდეს ამბიტურიენტს საყვედური, როცა მის ნახევარ გვერდიან „გვინა-ბაგვს" გასწორებულ „გვინა-ბაგვს" გასწორებულ „სამაგისო" ეს ... ...

СОВЕТСКОЕ ФОТО 5

ეძღვნება საქართველოს

ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს“ ფურცლებზე

საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის „ჟურნალი „სოვეტსკოე ფოტო“ თავის ფურცლებზე რეგულარულად უთმობს ადგილს მოკავშირე რესპუბლიკების ფოტოხელოვნების ოსტატთა ნამუშევრებს.

ჟურნალის წლევანდელი მე-5 ნომრის მკითხველთა ყურადღების ცენტრშია საქართველოს ფოტოხელოვანთა შემოქმედება. ჩვენი რესპუბლიკის ფოტოოსტატებს ჟურნალის საკავშირო მკითხველებს წარუდგენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე გ. ბედანეიშვილი წერილით „ოსტატობის მწვერვალებისაკენ“. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ს. მამასახლისის წერილში „დროის სახება“ ლაპარაკია თანამედროვე ქართულ ფოტოგრაფიაზე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ორგანულ ნაწილზე. ა. კოროლევის წერილი „გამოცდილებას რომ იძენს“ ეძღვნება ფოტოჟურნალისტ ა. სააკოვს, მ. ალექსეევის წერილში „შემოქმედების მიზანი“ მკითხველი გაეცნობა რესპუბლიკების პროფკავშირების ფოტოკლუბის „საქართველოს“ და ჟურნალისტთა საქალაქო ორგანიზაციის ფოტოკლუბის „თბილისის“ საქმიანობას.

წერილებთან ერთად, ცხადია, ჟურნალში დაბეჭდილია საქართველოს ფოტოოსტატთა ნამუშევრები. მათ შორის ხ. კილაძის, ა. რუხაძის, ა. მაჭავარიანის, ა. სააკოვის, ი. დავითაშვილის, მ. დათიკაშვილის, ფ. კრიმსკის, ზ. დათუაშვილის, მ. თათარიშვილის, ვ. ჯეირანოვის, დ. დავიდოვის, ვ. რუსაკის სხვადასხვა ჟანრის ფოტოსურათები.

სურათებზე: ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოში“ დაბეჭდილი საქართველოს ფოტოხელოვანთა ნამუშევრები: ზ. დათუაშვილის „გრაფიკა“, „მშობლიური მხარე“; ხ. კილაძის „სიმღერა“.

სვერდლოვსკის სცენაზე

პოეტისა და დრამატურგის შოთა როყვას პიესა „მდინარის გალმა ჩემი სოფელია“ შარშან ჟურნალ „ტეატრში“ დაიბეჭდა. ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ სვერდლოვსკის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში შედგა ამ პიესის პრემიერა. სპექტაკლის რეჟისორია ვ. ვლასოვარიზი, მხატვარია ა. კაზნაჩეევი, კომპოზიტორი — ე. გიმელფარბი.

როლებს ასრულებენ რსფსრ დამსახურებული არტისტები ვ. პოპოვა, პ. ფედოსეევი, ი. ბელოზეროვი, მსახიობები ვ. ივანსკი, გ. ლაპინა, ვ. სიზოვი და სხვ.

ადგილობრივი პრესა გულთბილად გამოეხმაურა ქართველი ავტორის პიესის დადგმას. სვერდლოვსკის საოლქო ტელესტუდიამ მოაწყო სპეციალური ტელეგადაცემა — თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები სპექტაკლიდან. გადაცემაში მონაწილეობდნენ თეატრის დირექტორი, რსფსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ი. პეტროვი, რეჟისორი ვ. ვლასოვა-რიზი და თვით პიესის ავტორი, რომელიც სვერდლოვსკში სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდა.

სსრ კავშირის ხალხთა დრამატურგიის ფესტივალთან დაკავშირებით აღნიშნული პიესა თავიანთ რეპერტუარში შეიტანეს ბერეთვე ასტრახანის, კიროვის, გორკის, ხაბაროვსკისა და როსტოვის თეატრებმა. ამ ბოლო ორი ქალაქის მოზარდ მაყურებელთა თეატრებმა ამ დღეებში წარმოადგინეს თავიანთი სპექტაკლები. („კომ“. კორ.)

„იმერეთი“ — ბალტიისპირეთში

ტაშკენტ და ზესტაფონი დაძმობილებული ქალაქებია. ეს ძმადნაფიცობა საბჭოთა სამშობლოსათვის დადგრილი სისხლის ფასად არის ნოპოვებული. ბალტიისპირეთის ამ ქალაქში განსვენებს საბჭოთა კავშირის გმირი, ზესტაფონელი ალ. ბიბილაშვილი.

ამ დღეებში ბალტიისპირეთში იყო ზესტაფონის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „იმერეთი“. გემოვნებით შერჩეული, დახვეწილი რეპერტუარით წარდგნენ ახალგაზრდა მომღერლები და მოცეკვაეები ლიტველი მეგობრების წინაშე, რაშიც თავიანთი წვლილი შეიტანეთ მის ხელმძღვანელებს ზ. ლოლაძეს და რ. აბრამიშვილს.

ო. ნიჟაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩაქვის გზაზე — ა. ჩანტლაძის ფოტო.

პოეტი და მუსიკა

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლემ წელს პირველად მოაწყო ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „პოეტი და მუსიკა“, საღამოს, რომელიც გახსნა მუსიკათმცოდნე სიმონ ცინცაძემ, ესაუბრნენ პოეტი მ. ფოცხიშვილი, კომპოზიტორები შ. მილორავა, ვ. აზარაშვილი, ნ. გიგაური, ვ. დურგლიშვილი, ხ. მირიანაშვილი, გ. სიხარულიძე, ნ. ედილაშვილი, ლ. იაშვილი, მ. ხატელიშვილი, ა. ბასილაია და სხვები.

საღამო მიპყავდა საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ჟულიეტა ვაშაყმაძეს. მორის ფოცხიშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს ინგა ფირაძემ, ციხეკი დადიანმა, ედიშერ მირიანაშვილმა, ეთერ კაკულიამ, ნიკო ჯაფუგიშვილმა, ირმა სოხაძემ, ირაკლი ნიკოლაშვილმა, მანანა ებრაელიძემ და ნორჩმა მომღერლებმა მაია ჯაბუამ, ეკა შერიზადიშვილმა, მაია ასლამაზოვამ და ეკა მაჭავარიანმა.

თავიანთ შემოქმედებითს გეგმებზე ილაპარაკეს კომპოზიტორებმა მილორავამ, ვ. დურგლიშვილმა და ვ. აზარაშვილმა. დასასრულ რამდენიმე ახალი ლექსი წაიკითხა მ. ფოცხიშვილმა.

ლ. გუგუშვილი.

სკოლებში გამოცდებია

მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ სიმწიფის გამოცდებისათვის, მას მოუთმენლად და დიდი მოლოდინებით მოელოდნენ მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც. და აი დადგა დღე, როცა უნდა გადაეწყოს უკანასკნელი ზღუდე.

სამუალო ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში 73 ათასზე მეტი კურსდამთავრებული აბარებდა თავის პირველ გამოსაშვებ გამოცდას — წერდა თემებს ქართულ და რუსულ ლიტერატურაში. ახლა გამოცდაზე გავლენ მერვეკლასელები და გადასაყვანი კლასების მოსწავლეები.

წლეულს საგამოცდო ბილეთების საფუძველად დაედო სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, უკვე შეუძლებელია მთავარი ამედი დამყარო გარკვეული რაოდენობის ფაქტების ათვისებაზე, არამედ აუცილებელია ბავშვებს ჩაეგონერგოთ ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარი, რისთვისაც აუცილებელია შეეუსაბამოთ თვით სწავლების მეთოდები ცხოვრების მოთხოვნებს.

წლევანდელ გამოცდებზე გასული წლებისაგან განსხვავებით საგამოცდო თემებს თხზულებებისათვის მშობლიურ ლიტერატურაში, ამოცანებსა და მაგალითებს სხვადასხვა საგნებში, გამოცდების დაწყებამ წინ, გადასცეს მენ რადიოთი.

გამოცდის წინ სწორედ რადიოთი მოისმინეს საქმეო დარბაზებსა და კლასებში გარანდულმა გოგო-ბიჭებმა მშობლიურ ლიტერატურაში დასაწერ თხზულებათა სათაურები. ქართული სკოლების „ვეფხ და ბუნება“, „კ. გამსახურდიას „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენის განხილვა“ და „ეაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“ — თავისუფალი თემა.

პირველი სიმწიფის გამოცდა დამთავრდა. კურსდამთავრებულებს მთელი თვის დაძაბული გამოცდები მოელოდა.

გ. დურგლიშვილი.

ჰიდკოზკ

ათი მედალი ბურსადან

თურქეთის ქალაქ ბურსაში ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატს კლასიკურ ჭიდაობაში მოპყვა კონტინენტის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

ყველავ შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ათლეტებმა (გუნდის შემადგენლობაში ძირითადად ახალგაზრდობა გამოდიოდა), რომლებმაც გუნდურ პირველობასთან ერთად, ცალკეულ წონითს კატეგორიებში ათი მედალი მოიპოვეს — ექვსი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი.

აი ჩვენი ფალავნები — ევროპის ჩემპიონები: კრასნოიარსკელი ვ. ალექსეევი (57 კგ), მახაჩკალელი ვ. იუმინი (62 კგ), კიშინიოველი ს. მარტა (74 კგ), მოსკოველი ა. პროკოპჩუკი (90 კგ), გროზნოელი ა. ბისულთანოვი (100 კგ) და სიკტივკარელი ვ. პარშუტკოვი (100 კგ ზემოთ).

საბჭოთა სპორტსმენების გარდა ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვეს ბულგარელებმა ს. სტოიანოვმა (48 კგ) და ი. აბალოვმა (82 კგ), იუგოსლავმა შ. სეფიმ (68 კგ) და ს. რეიხმა (52 კგ).

წყალში ხტომა

გაისად—ხუთი სპორტსმენი

მაშ ასე, უკან დარჩა წყალში ხტომელთა ხუთი დღის საინტერესო ბრძოლა, რომელიც საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში მიმდინარეობდა.

მინდა შევჩერდე საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლებზე, რომლებიც ბოლო წლებში აღმავლობის გზაზე არიან. ჩვენს რესპუბლიკას შეჯიბრების დებულების თანახმად პირველობისათვის ბრძოლაში მხოლოდ სამი სპორტსმენის გამოყვანა შეეძლო. მიუხედავად ამისა, საქართველოს მხტომელებმა თითმხმეტ კოლექტივს შორის მეხუთე ადგილი მოიპოვეს. ამასთან გაუსწრეს ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის ძლიერ გუნდებს. წინათ კი, ჩვენი გუნდი, როგორც წესი, საკავშირო ტურნირებში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე გამოდიოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 16 წლის სერგო შალიბაშვილი, რომელმაც კოშკურიდან ხტომაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ლიანა ცოტაძემ და სვეტლანა ნიკოლოტოვამ. მათ კოშკურიდან ხტომებში ფინალის საგზურები მოიპოვეს და გუნდს ჩასთვლელი ქულები მისცეს, ფინალში კი შესაბამისად მეექვსე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს. სინტერესოა, რომ სვეტლანა ნიკოლოტოვამ იგივე ბუტიაკულოვასთან ერთად ჩასათვლელი ქულები მოგვცა. სამმეტრიან ტრამპლინზეც.

ყოველივე ეს, ეფიქრობ, საქართველოს გუნდისთვის დიდი მიღწევაა. ჩვენმა მხტომელებმა გაისად სსრ კავშირის ჩემპიონატში ხუთი სპორტსმენით გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

ი. გუტიაკულოვი.

სურათზე: საქართველოს ქალთა ნაკრები წყალში ხტომაში (მარცხნიდან) — სვეტლანა ნიკოლოტოვა, ლიანა ცოტაძე, ინგა გუტიაკულოვა.

ხ. ჭილაძის ფოტო.

კრიკეტი

დ. კვაჭაძე — ნახევარფინალზე

25 წლის თბილისელი მოკრიკეტე დავით კვაჭაძე („ბურევესტნიკი“) საბჭოთა მოკრიკეტეთაგან პირველი გავიდა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც გაიმართა ქალაქ ჰალეში მიმდინარეობდა. დ. კვაჭაძემ როგორც მინიმუმ უკვე გაიმარჯვა ბრინჯაოს მედალი.

კარგად ითამაშეს აგრეთვე კონტინენტის პირველობის „ბრონზის“ შანდალმა ფინალისტმა, დნეპროპეტროვსკელმა ვიქტორ სიგრეკიმ, რომელმაც ოთხჯერ გაგზავნა ნოკდაუნში რუმინელი ვასილიდიდია. მსჯელობა გამარჯვება აქვს უპირატესობით საბჭოთა მოკრიკეტე მიახიეს.

საბჭოთა ნაკრებში, რომელშიც 10 მონაწილე გამოდის, დამარცხდა მხოლოდ ტაშკენტელი ფინალეს პაკი. დანარჩენები მეოდ ბისათვის განაგრძობენ ბრძოლას.

ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 2-3 ივნისს, ფინალი — 5 ივნისს.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის უკანასკნელი მატჩი ცსკა-სა და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრეით — 0:0.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 2 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჯ.
„დინამო“ მ.	7	4	3	0	10-1	11
„დინამო“ თბ.	7	4	3	0	11-4	11
„ტორპედო“	7	4	2	1	7-4	10
„კარატი“	7	3	4	0	6-3	10
„შახტიორი“	7	3	2	2	4-2	8
„ლოკომოტივი“	7	2	4	1	4-2	8
„დინამო“ კ.	6	1	5	0	7-3	7
„ნეფტჩი“	6	2	3	1	9-9	7
„არარატი“	6	2	2	2	5-6	6
„ზენიტი“	7	0	6	1	5-6	6
„დნეპრი“	7	3	0	4	5-9	6
„ჩერნომორეცი“	6	2	1	3	6-7	5
ცსკა	7	0	5	2	5-10	5
„კარპატი“	7	1	2	4	3-7	4
„ზარია“	7	0	2	5	1-7	2
„სპარ. სოვეტოვ“	7	0	2	5	5-13	2

საქართველოს პირველობა

ფეხბურთში საქართველოს პირველობის (პირველი ჯგუფი) ლიდერმა ბალის „მზეთუმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ზესტაფონის „მეტალურგი“ და 25 ქულით (16 თამაშიდან) ადგილი თავიდან უფრო გაათამაშებს. ბოლო ორ ადგილებზე 21-21 ქულით არიან ყვარლის „დურუჯი“ (მეოთხე ჭიათურის „მიღარიოელს“ — (3:1) და სანჩიერის „ობერი“ (სქელი ცხენვალის „სპარტაკს“ — 1:0).

ჩემპიონატის აუტსაიდერთა ორგებში არიან წულუკიძის „ამერეთი“, გორის რაიონის „ქართელი“ და საქართველოს ფიზიკურ ტორის ინსტიტუტის გუნდები.

ფ. გეკენგაუერმა ვერ უშველა

გშრ-ის ნაკრებისა და მოუნტენის „ბავარიის“ ყოფილმა კაპიტანმა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც ნიუ-იორკის „კოსმოსმა“ ახლახან შეიძინა, პირველი მატჩი გამართა თავის ახალ კლუბში.

პირველივე შეხვედრა ფ. ბეკენბაუერის მონაწილეობით, რომელიც ქალაქ ტამპა-ბეიში (ფლორიდის შტატი) გაიმართა „ოიუდის“ ფეხბურთელთა კლუბთან „კოსმოსმა“ წაიგო — 2:4. ბეკენბაუერმა ერთი ბურთი გაიტანა, მაგრამ თავის მხრივ „დაეხმარა“ მეტოქეს წარმატების მიღწევაში ხელით ითამაშა საჯარიმო მოედანში, რისთვისაც „კოსმოსმა“ პენალტით დაჯარიმდა.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში ნისლოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 16-20 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 22-27, მთებში 17-22 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 25-27 გრადუსი.

ეროფლოტი გვიწვევს

1 ივნისს ეროფლოტი ბადადის ქვეყნის შინაგან ხაზებზე თვითმფრინავების მომოსვლის საზაფხულო განრიგზე.

1977 წელს ავიატორებმა უნდა გადაიყვანონ 105 მილიონი მგზავრი, უთრა საკადესის კორესპონდენტს საბოქალაქო ავიაციის სამინისტროს მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსმა ბ. ე. პანიუკოვმა. საზაფხულო შვებულებების პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება მოგზაურთა ნაკადი. ეს გათვალისწინებულია ჩვენს ახალ განრიგში: ახლა ყოველ დღე შინაგანი ხაზებით შესრულდება 4.188 რეისი — 214 რეისით მეტი, ვიდრე შარშან.

ახალ განრიგში შემოღებული იქნება ფრენა თითქმის 50 ახალი ტრასით. მათ შორის არის ტრასები ოდესა-ტიუმენი, უხტა-სოჩი, არხანგელსკი-ბაკო, მოსკოვი-ამურის კომსომოლსკი, ლვოვი-ანაპა, ლენინგრადი-სვერდლოვსკი. ზაფხულში მნიშვნელოვნად იზრდება თვითმფრინავების მომოსვლის სიხშირე ხაზებზე, რომლებიც კურორტებს ქვეყნის უდიდეს ქალაქებთან აკავშირებს.

35 ტრასაზე ძველი მარკის თვითმფრინავები ახალი ტექნიკით შეიცვლება. მაგალითად, ხაბაროვსკ-სამფერპოლის, ბრატსკ-სიმფერპოლის, ომსკ-სოჩი-სიმფერპოლის, მოსკოვ-პავლოდარის მარშრუტებით იფრენს ჩქაროსნული ლაინერი ტუ-154. გაიზრდება ავიაბაზების რიცხვი, რომლებსაც ემსახურება ჩვენი სამოქალაქო ავიაციის ფლაგმანი მრავალადგილიანი ილ-62.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება ტურისტთა რიცხვი. მათი მარშრუტები გადის საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში. ეროფლოტის ტრადიციულ მარშრუტებს დამატება მთელი რიგი ასალი ტურისტული ტრასები.

„საქართველოს გუნება“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ავტოგზა

მკითხველს უთუოდ ემახსოვრება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის „ვარაზი“-72“-ის ამბავი. ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ მოკალათებული დამნაშავენი დაისაჯნენ და საბინაო კოოპერატივში ასალი ხელმძღვანელობა აირჩიეს, კოოპერატივის მდგომარეობა კი არსებითად არ გაუმჯობესებულა. ვერც კოოპერატივის ასალარჩეულმა გამგეობამ, ვერც ორჯონიკიძის რაიონულმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომებმა ვერ შეძლეს ბორტმოქმედთა ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შედეგების რამდენადმე მაინც შემსუბუქებინათ კოოპერატივის წევრებისათვის და კანონიერება აღედგინათ.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. კოოპერატივის წევრთა ეოთი ნაწილი უბინაოდ დარჩა, თავის მხრივ, ბინებს მოითხოვენ საგარანტიო წერილის მფლობელნი, უკმაყოფილონი არიან კოოპერატივის ის წევრებიც, რომლებიც უკვე შესახლდნენ ბინებში. ისინი უარს ამბობენ სახელმწიფოსაგან აღებული ვალისა და ბინის ქირის გადახდაზე, რადგან ქურდობის, დატაცების, განუკითხაობის და უკანონობის შედეგად ერთიორად და მეტად ვაძვირდა მშენებლობა. მობინადრეთა დიდი ნაწილი თვითნებურად შეახსდა და წლობით დაუკანონებელ ბინებში ცხოვრობს — უორღერად და ჩაუწერავად, კოოპერატივი ვალებშია ჩაფლული.

ერთი სიტყვით, წარმოუდგენელი ქაოსია, სადაც გზის გაგნება და გარკვევა გაუნელდება კაცს.

გამოიყო კომისიები, რაიონულმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომებმა მიიღეს დადგენილებები ერთხელ, მეორედ, მესამედ... საქმეში ჩაერევნენ პროკურატურისა და მართლმსაჯულების ორგანოები, მაგრამ ამაოდ.

თავის დროზე საგამოძიებო ორგანოებმა, აგრეთვე ამ საკითხის შესასწავლად საგანგებოდ შექმნილმა კომპეტენტურმა კომისიამ დაადგინეს, რომ მრავალ სხვა ბორტმოქმედთასთან ერთად კოოპერატივის გამგეობის ყოფილი ხელმძღვანელები უხვად არღვევდნენ საგარანტიო ხელშეკრულებების გაფორმება-ვადების წესს. მათ აშკარად კანონსაწინააღმდეგო საგარანტიო ხელშეკრულებები დადეს იმ მოქალაქეებთან, რომელთა სახლები კოოპერატიულ მშენებლობასთან დაკავშირებით უნდა დაენგრიათ. ამ ხელშეკრულებებით დასანგრევი სახლების მფლობელებმა კოოპერატიულ სახლში უფლება მოიპოვეს გაცილებით მეტ საცხოვრებელ ფართობზე, ვიდრე მათ პირადი საკუთრების უფლებით ჰქონდათ ან ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით ეკუთვნოდათ.

ამ უკანონობათა შესახებ აღნიშნულმა სპეციალურმა კომისიამ თავისი დასკვნა გაუგზავნა თბილისის საბჭოს აღმასკომს. აღმასკომმა ჯერ კიდე 1973 წლის 25 ოქტომბერს განიხილა ეს საკითხი და საგანგებო გადაწყვეტილებით ორჯონიკიძის რაიასაბჭოს აღმასკომს დაავალა ორი კვირის ვადაში ერთხელ კიდევ საბოლოოდ დაეწუსტებინა № 172 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ გაცემული გარანტიების სისწორე და სახალხო სასამართლოში დაუყოვნებლივ აღეძრა სარჩელი უკანონოდ გაცემული საგარანტიო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ. უკვე სამ წელზე მეტი გავიდა ამ გადაწყვეტილების მიღებიდან. საქმე კი დღემდე მოუგვარებელია. მართალია, ზოგიერთების გაუუქმეს ყალბი და კაბალური გარანტიები, მაგრამ ბევრი ასეთი გარანტიის მფლობელნი — დ. გაგნიძე, გ. ფალავანდიშვილი, ვ. კაპანაძე, ვ. აბაშიძე, ო. ღამბაშიძე და სხვები უკანონოდ შევიდნენ ბინებში, მათთვის მაცემული ბინების ფართობი არ შეესაბამება არც მათ სულადობრივ რაოდენობას, არც იმ ფართობს, რაც მათ ჰქონდათ.

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომლითაც თბილისის საბჭოს აღმასკომი კოოპერატივის ყოფილი ხელმძღვანელობის დანაშაულობათა შედეგების ლიკვიდაციას და საქმის მოგვარებას შეუდგა, ის იყო, რომ 1974 წლის 23 მაისის დადგენილებით გაიაუქმა თავისივე 1971 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება კოოპერატივის არ დასჯერებია და არც აუღია, არც ასალი კორპუსი აშენებულა. ამიტომ, ცხადია, ხელშეკრულება თავისთავად კარგავს ძალას და ბათილად უნდა იქნას მიჩნეული.

მაგრამ საგარანტიო ხელშეკრულებათა მფლობელებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ამ საგარანტიო ხელშეკრულებების ნაცვლად კეთილმოწყობილი ბინები მისცეს ასაღები სახლების პატრონებს. მართალია, ისინი მოტყუებული აღმოჩნდნენ, მაგრამ რა ვალდებული არიან კოოპერატივის წევრები მათი ზარალი ზღონ! სასამართლო ორგანოებმა კი დიდი „ბულმოწყალება“ გამოიჩინეს დაზარალებულებისადმი და სწორედ კოოპერატივს დააკისრეს ზღონ მათი შეცდომა და ზარალი. ასეთი ცრუპემანური მოტივებითა და არგუმენტებით სასაალო სასამართლომ ოთხოთახიანი ბინა მიაკუთვნა, მატივის დამატებით მე-9—16 კორპუსების ასაგებად მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ, რითაც მშენებლობის გაგრძელება აკრძალა.

აღმასკომის ამ გადაწყვეტილებით ცხადია, უქმდებოდა საგარანტიო ხელშეკრულებებიც, რომლებიც კორპუსების ასაშენებლად გამოყოფილ ტერიტორიაზე ასაღები სახლების მფლობელებისათვის იყო გაცემული, ამავე დადგენილებით აღმასკომი აძლევს კიდევაც რჩევას კოოპერატივის გამგეობას სახალხო სასამართლოში აღძრას სარჩელი მე-9 კორპუსში გაცემული გარანტიების მფლობელთა და მათ მონაცვლეთა პირველადელი ფლობილობის აღდგენის შესახებ.

სინამდვილეში კი პირიქით მოხდა. თვით საგარანტიო წერილების მფლობელებმა აღძრეს სარჩელი. სასამართლოში და კოოპერატივისაგან ბინები მოითხოვეს. სასამართლო ორგანოებმა დაკმაყოფილეს ბევრი მათგანის მოთხოვნა და დაავალდებულეს კოოპერატივი, როგორც პირის გამტეხი, ხელშეკრულების დამრღვევი, რომ ამ მოქალაქეებს მისცეს ბინები ან აუნაზღაურონ საგარანტიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინების ღირებულება.

ახა ეს სადაური სამართალია? ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ კოოპერატივი მაგან და მაგან მოქალაქეს, ბინას მისცემს იმ შემთხვევაში, თუ მის სახლს აიღებს და ამ ადგილას ახალ კორპუსს აიშენებს. სხვა რამ ვალდებულებას საგარანტიო წერილი არც ერთ მხარეს აკისრებს და არც მეორეს. ძველი სახლების აღება კოოპერატივს ეკრძალა, ეს ბინა ეკუთვნოდა ბინადარ ოჯახს